საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაშვილი ლუარსაბ სეითის ძე



ლ. იაშვილი

იაშვილი ლუარსაბ სეითის ძე (31. III. 1907, თბილისი, – 29. X. 1993, იქვე), მევიოლინე, ალტისტი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1983), საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961), თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პროფესორი (1947-იდან).

1931 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (პროფ. ვ. ვილშაუს სავიოლინო კლასი). 1932–35 სწავლობდა - ლენინგრადის კონსერვატორიის ასპირანტურაში (ალტის კლასი, ხელმძღვ. პროფ. ა. სოსინი). 1925– 28 უკრავდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების", საოპერო სტუდიისა და რუსთაველის თეატრის ორკესტრებში, 1928–45 – საქართვ. პირველი სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაში (ალტი). როგორც სოლისტი და კონცერტმაისტერი სისტემატურად გამოდიოდა საქართვ. სახელმწ. ფილარმონიისა და რადიოს ორკესტრებში.

1935-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. კონსერვატორიასა და ცენტრ. სამუსიკო ათწლედში. ამავე წელს კონსერვატორიაში დააარსა სპეც. ალტის კლასი. მისი მოწაფეები იყვნენ: ი. ლეესი, ს. აინშტაინი, ჰ. შავერდიანი, გ. მელიქიშვილი, თავისი ქალიშვილები – მარინე, ირინე და ნანა იაშვილები, ალტისტი ა. ბეგალიშვილი. მასთან სწავლობდნენ მომავალი კომპოზიტორები – რ. ლაღიძე, ი. გეჯაძე, შ. შილაკაძე და სხვ. ი. მრავალი მეთოდური ხასიათის შრომის ავტორია. 1967–74 ი. მივლინებული იყო ეგვიპტეში ქ. კაიროს კონსერვატორიის პედაგოგად.